ერთიანი თავისუფლების გზით – პირველი თავისუფლებისაკენ!
პირველი თავისუფლების გზით – ერთიანი თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 19 (1457) 6-10 ივნისი, 1996 წელი

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

„რა გინდოდათ, რას მერჩოდით, ერთმანეთისა რითა ვგვანდით!..“

ზენერალ გია ჭულუას მკვლელობა

→ მე-8 გვ. ←

თენგიზ კიტოვანი:

ეს იყო შევარდნაძის სცენარი, შევარდნაძე მოსკოვიდან აპირებდა გამოქცევას, გარკვეული წრეები მას დასდევდნენ მოსაკლავად

→ მე-3 და მე-4 გვ.

თენგიზ სიგუა:

თვითმკვლელობის დღეს დ.დვალიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა მასალა, სადაც 78 გვერდზე დაწვრილებითაა აღწერილი ყველაფერი გაცემული კრედიტების შესახებ. სამი დღის შემდეგ კი...

→ მე-2 გვ.

ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲕᲘᲜ?

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲚᲘᲒᲣᲐᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

გაგრძელება. დასწყისი იხ. გაზ. „საქართველო“ №16-17-18

14

— თქვენ გონიერი და ინტელიგენტი პიროვნება ბრძანდებით, თვლით თუ არა, რომ კიტოვანთან პოლიტიკურმა ალიანსმა თქვენი კარიერა დააზარალა?

15

— თქვენ ებრძოდით ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დემურ დვალიშვილის ე.წ. ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. საქმის კურსში ხართ უამრავი კრედიტის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. დვალიშვილმა მოულოდნელად დაასრულა სიცოცხლე. ლაპარაკობენ რაღაც დღიურის შესახებ, რაც მან დასტოვა. რა დღიურია ეს და საერთოდ როგორ მიგაჩნიათ, დვალიშვილი შოკლეს თუ თავი შოიკლა?

14

— არა, არ მიმაჩნია. მე უფლება არა მაქვს ობიექტურად არ შევაფასო თ.კიტოვანის როლი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განვითარებულ პროცესებში. ჯერ კიდევ 1990 წლის დეკემბერში ზ.გამსახურდია ნიშნავს მას, იმჟამინდელი უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სამთავრობო თავდაცვის კომისიის თავმჯდომარედ და მასვე ევალება ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება. თ.კიტოვანმა წარმატებით გაართვა თავი ამ პასუხსაგებ და საპატიო დავალებას და 1991 წლის აპრილისათვის ეროვნულ გვარდიაში უკვე 12 ათასი მებრძოლი ირიცხებოდა. აქტიურად მიმდინარეობდა მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქართველი ოფიცრების მოძიება და მათი სამშობლოში მოპატიჟება. ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს, რა ენთუზიაზმით მიიღტვოდა ახალგაზრდობა ეროვნულ გვარდიაში ჩასარიცხად. იყო უამრავი შემთხვევა, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დაწუნებული ახალგაზრდები დაჟინებით მოითხოვდნენ გვარდიაში სამსახურს. მახსოვს შემთხვევა, როდესაც 18 წლის ახალგაზრდა მშობლებთან ერთად მინისტრთა კაბინეტში მოვიდა თხოვნით, რათა იგი, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო კომისიამ დაიწუნა (მხედველობა ჰქონდა დაქვეითებული, მინუს 6), მაინც ჩაერიცხათ გვარდიაში. „თოფს ნუ მანდობთ, მე კარგად ვხატავ და ამით მაინც გამოვადგები ეროვნულ გვარდიასო“ — აი, მისი არგუმენტი. დღეს კი სულ სხვა სურათია, ახალგაზრდობა თავს არიდებს ჯარში სამსახურს, მასიური ხასიათი მიიღო დეზერტირობის შემთხვევებმა. სწორედ მაშინ მოვიდნენ ეროვნულ გვარდიაში პროფესიონალი სამხედროები, შემდგომში გენერლები ავთანდილ ცქიტიშვილი, ზაურ უჩაძე, გიორგი ყარყარაშვილი, **ᲒᲘᲐ ᲒᲣᲚᲣᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲜᲐᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲐᲐᲢᲐ ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ**, გია უჩავა. თ.კიტოვანს ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებისას გვერდში ედგნენ არასამხედრო პირები, ამჟამად თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, გენერლები ჯემალ ჭუმბურიძე და თამაზ დუმბაძე, აწ გარდაცვლილი პოლკოვნიკი კოტე მიქელაძე. არ შეიძლება ჯეროვნად არ შეფასდეს შესანიშნავი პიროვნებების გელა გიორგაძისა და კახა გველესიანის, ამჟამად რესპუბლიკის სამხედრო კომისრის ტარიელ აბუაშვილის, გმირი მფრინავის მაისურაძის როლი ეროვნული გვარდიის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. ყველას ალბათ ვერ ჩამოვთვლი და მაპატიონ, თუ ვინმე გამომრჩა.

1992 წლიდან, მას შემდეგ რაც იგი ინიშნება თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად, იგი აქტიურად განაგრძობს მუშაობას ქართული ჯარის შექმნის მიმართულებით. 1992 წლის შემოდგომიდან უკვე იკვეთება წინააღმდეგობები თ.კიტოვანსა და ე.შევარდნაძეს შორის, მითუმეტეს, აფხაზეთის კონფლიქტის დაწყების შემდეგ. თ.კიტოვანი მიუღებლად თვლის ე.შევარდნაძის მიერ მიღებულ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, როგორც იყო ცხინვალის ალყის მოხსნა, აზერბაიჯანის ქ.გიანჯიდან გუდაუთაში რუსეთის 345-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის გადმოყვანა, 1993 წ. 15 აგვისტოს ქ.სოხუმში ჯარის შეჩერება, 1993 წ. 27 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გაყვანა და სხვა.

იწყება ჩუმი ბრძოლა თ.კიტოვანის წინააღმდეგ, მისი პიროვნების საზოგადოებაში დისკრედიტაციის მიზნით. აქტიურად ავრცელებენ სხვადასხვა ხასიათის ჭორებს (ჭორების გამავრცელებელი ჭარხანა სრული დატვირთვით მუშაობს). რას არ გაიგონებდით: რომ თითქოს თ.კიტოვანმა „ვილები“ შეიძინა საზღვარგარეთ, რომ იგი აშენებს ოთხსართულიან „ციხე-სიმაგრეს“ თბილისში და ა.შ. ყველა ეს ჭორი დროთა განმავლობაში საპნის ბუშტივით გასკდა. სამი წელიწადია, რაც ზემოდან დავალებით, ჯერ სამხედრო, ხოლო შემდეგ ცივილური პროკურატურა იკვლევს თ.კიტოვანის ნამოქმედარს. 1995 წლის ბოლოს მას წაუყენეს ბრალდება 13 იანვრის ცნობილ მსვლელობასთან დაკავშირებით და იარაღის უკანონო შენახვაზე. გამოგონილ „თვითმფრინავების საქმეसაც“ თითქმის ორი წელია უშედეგოდ უტრიალებენ. ამ ფონზე, როდესაც არავითარი მტკიცებულებები არ არსებობს, სახელმწიფოს მეთაური თავს უფლებას აძლევს თ.კიტოვანს „მაფიოზი“ უწოდოს და განაცხადოს: **“სანამ მე ცოცხალი ვარ, თ.კიტოვანს გარეთ გამოსვლა არ ეღირსებაო“**. ეს ხომ აბსოლუტურად კანონსაწინააღმდეგო გამონათქვამებია და ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმციის ელემენტარული წესის უგულვებელყოფაა. ის ბრალდება კი, რომელიც თ.კიტოვანს აქვს წაყენებული, პოლიტიკური ანგარიშსწორების გამოა შეთითხნილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ეჰვგარეშეა, რომ მის მიერ დაშვებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ან დანაშაულობანი დიდი ხანია წარმოჩენილი იქნებოდა.

აი რა შეფასება მისცა თენგიზ კიტოვანის წვლილს სახელმწიფოს მეთაურმა ე.შევარდნაძემ 1993 წლის 6 მაისს პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას (თ.კიტოვანის გადადგომის შემდეგ): **„პირველ რიგში მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ბატონ თენგიზ კიტოვანის მიმართ. მე ისე, როგორც ჩვენი ხალხი, მადლიერი ვართ მისი. თუ საქართველოს უწერია გახდეს ჭეშმარიტად დემოკრატიული და დამოუკიდებული ქვეყანა, ამ საქმეში თენგიზ კიტოვანის წვლილი უდაოდ დიდი და წარუშლელი იქნება. ის რაც მან გააკეთა თავის თანამებრძოლებთან ერთად და იმათთან, ვინც მხარს უჭერდა, დიდი ისტორიული ეტაპია საქართველოს მატიანეში. თუ ის მოისურვებს, კვლავაც შეუძლია ჩამთვალოს თავის მეგობრად და თანამებრძოლად საქართველოს ინტერესებისათვის ბრძოლაში“ („საქართველოს რესპუბლიკა“ 7 მაისი, 1993 წ.).**

ამის შემდეგ თ.კიტოვანს გამოუცხადა მადლობა და დიდი დამსახურებისათვის ერის წინაშე იგი ჯილდოვდება ვახტანგ გორგასლის ორდენით. 1993 წლის სექტემბერში იგი ინიშნება ეროვნული გვარდიის საპატიო სარდლად (ჩემის აზრით, საკმაოდ გაუგებარი თანამდებობაა).

დაბოლოს, მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანებს, რომლებიც ხელისუფლების მიერ „შერისხულ“ პიროვნებას უმალ გამიჯნებიან.

15.

— ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, აწ განსვენებული დ.დვალიშვილი ატარებდა, იყო არა „ლიბერალური“, არამედ „დამღუპველი“. მოკლე ხანში (7 თვის განმავლობაში), გაცემულ იქნა **600** მილიონი დოლარის ტოლფასი კრედიტები, რომლის **20%**-იც კი არ იქნა გამოყენებული ქვეყნის სასიკეთოდ. ამის თაობაზე უამრავი მასალაა გამოქვეყნებული. ამ დამანგრეველი პოლიტიკის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ბანკის პრეზიდენტის შეცვლის საკითხი სახელმწიფოს მეთაურს წლინაშე ჯერ კიდევ 1993 წლის მარტში [illegible] ეაგრეთ უშედეგოდ. 1993 წლის 10 ივნ[illegible] გაეხდი ამ საკითხის თაობაზე [illegible] რლამენტში. ბანკის პოზიცია და [illegible] ისევ ე.შევარდნაძემ დაიცვა: **„ვერ დავიჯერებ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ამ საქმეში რაღაც ანგარება ამოძრავებდა“**. იგივე პოზიცია გამოხატა მან 14 ივნისის რადიოინტერვიუში: „ამჟამად მიმდინარეობს იმის შემოწმება, თუ რა კრედიტებია გამოყენებული და **დარწმუნებული ვარ, აქ დანაშაული არაფერი იქნება“**. და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1994 წლის 13 ივლისს, მინისტრთა კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე იგი აღიარებს, რომ: **„არასწორი საკრედიტო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ლიბერალური დავარქვით, ლიბერალური კი არა, როგორც ეხლა ირკვევა, დანაშაულებრივი საკრედიტო პოლიტიკა იყო, რომელიც ასე ძვირად დაუჯდა ქვეყანას“**.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ვერ ითვალისწინებდა ასეთი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის შედეგებს. მე მაშინაც ვამტკიცებდი, რომ საქმე გვქონდა მსხვილმასშტაბიან სახელმწიფო აფიორასთან ან წინასწარ გათვლილ საბოტაჟთან და რომ ეს მოვლენა არ ეხება მხოლოდ საბანკო საქმეს და ერთ რომელიმე პიროვნებას. ამას ადასტურებს ერთი ფაქტიც: 1993 წლის 10 ივნისს შეიქმნა საგანგებო საპარლამენტო კომისია 24 კაცის შემადგენლობით, ეროვნული ბანკის მიერ კრედიტების გაცემის მიზანშეწონილობის შესასწავლად. სამი თვის მუშაობის შემდეგ, სექტემბერში კომისიის დასკვნა მზად იყო, მაგრამ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, წინა პარლამენტმა ისე დაამთავრა მუშაობა (1995 წლის ნოემბერში), რომ ამ კომისიისათვის არავის მოუსმენია. უეჭველია, რომ ეს რეალური ვითარების მიჩქმალვა იყო. საზოგადოებას დღესაც არ გასცემია პასუხი, თუ რა მოვლენასთან გვქონდა საქმე: საბაჟოსთან, აფიორასთან თუ არაკომპეტენტურობასთან.

თვითმკვლელობის დღეს დ.დვალიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა მასალა, სადაც 78 გვერდზე დაწვრილებითაა აღწერილი ყველაფერი გაცემული კრედიტების თაობაზე. სამი დღის შემდეგ კი აღნიშნული მასალები რესპუბლიკის პროკურატურამ გამოითხოვა და მას „ტაბუ“ დაედო. არ შესრულდა პარლამენტის გადაწყვეტილებაც იმის თაობაზე, რომ ამ მასალის ჭსეროასლები გადასცემოდა ორ საპარლამენტო კომისიას იმ მიზნით, რომ გამორიცხულიყო მათზე მანიპულირების შესაძლებლობა.

ოფიციალური ვერსიის თანახმად დ.დვალიშვილმა თავი მოიკლა. მისი მკვლელობის შესახებ რაიმე რეალური მტკიცებულობათა არსებობის თაობაზე, ჩემთვის ცნობილი არ არის. თუმცა საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ იგი გამოიყენეს, გამოწურეს როგორც ლიმონი და მოიშორეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვინ იყო ვინ?

29 საჭირბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის პასუხები

№1

– რამ განაპირობა კონფლიქტი მამათქვენს, ბატონ შოთა კიტოვანსა და იმჟამად შინაგან საქმეთა მინისტრ ე.შევარდნაძეს შორის?

№2

– ბევრი დაიწერა იმ ავარიის შესახებ, რომლის გამოც თქვენ პირველად დაგაპატიმრეს, მაგრამ იქნებ დეტალურად აღწეროთ, რა მოხდა სინამდვილეში და ადექვატური იყო თუ არა სასჯელი დანაშაულისა?

№3

– თქვენი პატიმრობის ხანა. სად მოიხადეთ სასჯელი. რას გაიხსენებდით იმ პერიოდიდან კურიოზების ჩათვლით?

№4

– გვიამბეთ შემდგომი საქმიანობის შესახებ.

№5

– როგორ მოხვდით ეროვნულ მოძრაობაში. თქვენი კონტაქტები ზვიად გამსახურდიასთან საიდან იწყება. შემდგომში რის გამო განუდექით? გვიამბეთ პირადი და საზოგადოებრივი მოტივების შესახებ.

ამას გიგზავნით. აქ გონიათ, რომ ჩემს ინტერვიუს ესწრება კორესპონდენტები და ზოგი თანამშრომელი უხერხულობაში ვარდება.

მე არ მინდა ჩემი გულისთვის ვინმე მოხსნან სამსახურიდან, ან აქ ისედაც გამწარებული ცხოვრება გაუწამონ ვინმეს.



სამხატვრო ფონდთან არსებული ფერადი მინის საამქროს უფროსი თენგიზ კიტოვანი (მარჯვნივ) და მბერავი ვ. გალიჩი 1980 წელი.

1

13 თარსი ციფრია

— მამაჩემსა და ედუარდს შორის კონფლიქტი განაპირობა ცუდმა ენებმა; როგორც ცნობილია, შევარდნაძე ენის ამყოლი კაცია და მაგის აგდება ძალიან ადვილად შეიძლება. გარდა ამისა, მამაჩემი იყო საშინელი ანტიკომუნისტი. 43 წელს იყო გასამართლებული ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი მუშაობისთვის, ჰქონდა დახვრეტა, მერე შეუცვალეს 25 წლით. იყო გადასახლებული ყარაგანდის პოლიტლაგერში, იქიდან გაიქცა და მამა მე ვნახე 1955 წელს, როცა მას რეაბილიტაცია მისცეს. თვითონ იყო ლიტერატორი პროფესიით, მაგრამ მალვაში რომ იყო, თავს აფარებდა ქართველ მეღვინეებს და გახდა, ასე რომ ვთქვათ, მეღვინე. ჰქონდა 20 გამოგონება, რაც საქართველოს დიდ ეკონომიას აძლევდა და ამის საფუძველზე ოფიციალურად მამას ერგებოდა მაშინდელი ფული 600 ათასი მანეთი, რამაც გამოიწვია შევარდნაძის განრისხება, დაესხა თავზე აგარის საკონსერვო ქარხანას შევარდნაძე თავისი ამალით და ოთხი წლის განმავლობაში მიყავდა ძიება, რაც უშედეგოდ დამთავრდა. აი ასე გაბოროტდა ბატონი ედუარდი. ნუ დაგავიწყდებათ, ედუარდს და მამაჩემს შორის 13 წელია განსხვავება, როგორც მე და ედუარდს შორის 13 წელი. 1969 წელს ედუარდმა მომისაჯა 15 წელი. 3 წელი დამიკლეს და ერთი ისევ დამიმატეს, გამიხადეს 13 წელი. 1982 წელს უნდა გამოვსულიყავი 82—95. წლებს შორის ცამეტი წელია სხვაობა და აი, 13 წლის შემდეგ ისევ დამიჭირა.

2

ჩემი თხოვნა იქნება, რომ ნახოთ

ვიდეომასალა, რაც მამაჩემმა დამიტოვა

— რაც შეეხება ჩემს ავარიას, ეს იყო მოწყობილი და მაგრად ინსპირირებული. ამის მასალები არსებობს, თანაც ბევრი, ჩემი თხოვნა იქნება, რომ ნახოთ ვიდეო მასალა, რაც მამაჩემმა დამიტოვა, იქ არის გარკვევით ყველაფერი ნაჩვენები, მასალები, თუ როგორ შეთითხნეს ყველაფერი, თვითონ შევარდნაძე; მინისტრი კაცი, ეხლა რომ ფონიჭალაა, იქ მელოდებოდა მილიციაში და სიხარულით ხელებს ისრესავდა,

გაგრძელება მე-4 გვ.

თ. კიტოვანი: ბევრი რამ ახსოვს ჩემს ბიჭობას...

რიგითი კიტოვანი

ვინ იყო ვინ?

29 საჭირბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის ავტობიოგ



თ. კიტოვანი პირველი პატიმრობა. 1974 წ.

მესამე გვერდიდან

მაინც ხომ დაგიჭირეო. ეს მახსოვს დღევანდელ დღემდე — ისეთი აღფრთოვანებული სახე ჰქონდა. მე ამიტომაც ვწერ ყველგან, რომ შევარდნაძე მოწოდებით მილიციონერია და არა პოლიტიკოსი. მერე როგორც გაირკვა მოწმეებით და ექსპერტებით, „ავარიის შედეგად დაღუპულები“ სინამდვილეში ადრე ყოფილან გარდაცვლილები. ხოლო მოწმეებმა რომ აჩვენეს ეს ყველაფერი, ისინიც გაქრენ. ასე რომ, მკვდრებს პოულობდნენ ნელ-ნელა. მერე მამაჩემიც დააპატიმრეს და 6 თვე აყურყუტეს. შემდეგ რაღაც კომისია ჩამოვიდა მოსკოვიდან და გაანთავისუფლეს. რასაც ვყვები, თუ მასალას თქვენ ნახავთ და ტელევიზიით გაუშვებთ, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება ყველაფერი. ავარიისთვის 15 წელი მომისაჯეს ციხის კლუბში. გამზადებული განაჩენი მიიტანა მისამართზე თოფურიამ.

3

ჩუმად უთხრა, დღეს თენგიზ კიტოვანი არ გამოიყვანო ზონიდან, თორემ მოკლავენო

— ჩემი პატიმრობის ხანის დრო წულუკიძის კოლონიაში დაიწყო. მესროლა ბადრაგმა, მე ამაცილა და გვერდზე ვინც მომსდევდა, იგი მოკლა. მერე ორ დღეში ის კოლონია დაშალეს. იქ იყო ერთი კაპიტანი სალია და ჩუმად უთხრა თენგიზ ინაურს, ჩემს ბრიგადირს, დღეს თენგიზ კიტოვანი არ გამოიყვანო ზონიდან, თორემ მოკლავენო. მე უკვე გაფრთხილებული ვიყავი და ზონაში ავტეხე ხმაური, რის შედეგადაც ჩამსვეს მატარებელში და ასე მიკრეს თავი რუსეთის ლაგერებში. 1973 წელს ჩელიაბინსკის ოლქში გამასამართლეს და დამიმატეს ერთი წელი სასჯელი კომუნისტების გინებისთვის. ვიჯექი ცნობილ ციხეში „ზლატოუსტში“. მე მომატარეს თითქმის მთელი მაშინდელი საბჭოური ლაგერები., დაწყებული ურალიდან, ცენტრალური რუსეთის ზონები, ჩრდილოეთ კავკასიის ზონები... გავიარე 18 ციხე და 9 კოლონია. ვხვდებოდი ბევრ პოლიტპატიმარს, საერთო ბევრი გვქონდა. ჩემი გაზრდილი ერთი პოლიტპატიმარი ზვიადასთან იჯდა. მერე ზვიადმა თვითონ მომიყვა მათი ურთიერთობის შესახებ. ის ცნობილი დისიდენტი არის სერგეი ლვოვი, ვინც მერე მე გამაცნო ურიჟკო და სხვა დისიდენტები, რომელთაც დიდი სკოლა აქვთ გავლილი რუსეთის ჯურღმულებში.

4

კიტოვანი დაზგასთან...

— ჩემი საქმიანობა დაიწყო ჩემი განთავისუფლების შემდეგ. საქართველოში ფერადი მინის ჩამოყალიბება დავიწყე, ძალიან მალე გაჩნდა მხატვრებისთვის მხატვრული მინის დამუშავების პატარა ქარხანა. როგორც ყოველთვის, ყველაფერს თავის წინააღმდეგობა აქვს. იქაც თავისებურად ბევრი ეწინააღმდეგებოდა ამ ახალი დარგის განვითარებას გარკვეული მიზეზების გამო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, მე ჩემი საქმე გავაკეთე. ქართველ მხატვრებს ჰქონდათ საშუალება ემუშავათ ფერად მინაზე.

5

ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, გადავეხვიეთ ერთმანეთს. ის კი ვუთხარი: ზვიად...

— ზვიადი ახალი განთავისუფლებული იყო და მეც როცა მას შევხვდი ქაშვეთის ეკლესიასთან, ჩვენ ერთმანეთი არ გვენახა ათეული წლების მანძილზე. სადამოსთვის დავთქვით, რომ ერთმანეთს შევხვდებოდით და წავიდოდით სადმე სავახშმოდ. ასეც მოხდა, თბილისის ზღვაზე შევხვდით ერთმანეთს და გვიანობამდე გვქონდა საუბარი. ფაქტიურად 80-იან წლებში ჩვენ ჩვენი კურსი გვქონდა. მაშინ იყო, ზვიადმა მომიყვა სერგეი ლვოვის ამბავი და ბევრი საერთო გამოვნახეთ. ზვიადს „კუდზე“ ავჯდნენ და შეიძლება მეც გავშიფრულიყავი, ასე დავშორდით ერთმანეთს. 88-89 წლებში დაიწყო თურქი მესხების მცდელობა საქართველოში შემოსვლისა. მანამდე ჩვენ შევხვდით ერთმანეთს ბოლნისის საკითხებზე. მერე მე ჩავედი განჯაში, შევხვდი იქაურ ლტოლვილებს. შემდეგ ჩავრთე უკვე ჩვენი ეროვნული მოძრაობის ბიჭები და ასე ჩავერთეთ და გავერთიანდით სუყველა. ამის ვიდეო მასალაც არსებობს. შემდეგ მოგვიანებით, ერთი ძველი ჩეკისტი მეტყვის: „თენგიზ, ისე უცებ შემოხვედი ეროვნულ მოძრაობაში, რომ შენი „რაზრაბოტკა“ ვერ მოვასწარითო“. ეს ჩვენი კონსპირაციული მუშაობა მან ეტყობა არ იცოდა. წინ სამაჩაბლოს საკითხი გვედო და სხვა მრავალი. მერე მომიწია ლენინის ძეგლის „შეღებვა“ მოედანზე, რის შედეგადაც 28 აგვისტოს ავიღეთ კიდეც. მე და ზვიადს შორის განხეთქილება მოხდა 1991 წლის 19 აგვისტოს ГКЧП-ს დროს, როცა მან ქართული გვარდია დაშალა რუსეთის ზეწოლით, მე ზვიადს შევხვდი 29 აგვისტოს. ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. მე ჩამოვედი რკონიდან, მარტო შევხვედი მასთან და ბევრი ვისაუბრეთ, თითქმის ყველაფერი კარგად დამთავრდა, ყველაფერზე დამეთანხმა, გადავეხვიეთ ერთმანეთს, ვაკოცეთ კაცურად, ჩამოვართვით ხელი. ის კი ვუთხარი: ზვიად, შენი კოცნა იუდას კოცნას არ გავდეს-მეთქი. გაეცინა და მითხრა, რომ მას აზრი არასდროს არ შეეცვლებოდა. რკონში არ ვიყავი ჩასული, რომ ტელევიზიით ზვიადი მოუხმობდა მშობლებს, თქვენი შვილები წამოიყვანეთ რკონიდანო. ამ დროს, რესტორანში წყდებოდა 12 ათასი ბავშვის სიცოცხლე. გენერალი შურავლიოვი, ომანიძესთან და ხაბულიანთან ერთად, პატრიკეევიც იქ იყო, სხვათაშორის, აწყობდნენ გეგმას, როგორ განვეიარაღებინეთ მე და გვარდია, რამაც საბოლოო განხეთქილება გამოიწვია ჩემსა და ზვიად გამსახურდიას შორის.

ზვიადის თავს დასტრიალებდა ბევრი აგენტურა, თვითონ კი ყვიროდა კრემლის აგენტებზე, მაგრამ ერთს ვერ ხვდებოდა, რომ შევარდნაძის აგენტურა გულზე ეჯდა და ზვიადი გახადეს მართვადი. დააშინეს სიკვდილის შიშით, დღეში ათას სისულელეს ელაპარაკებოდნენ, ყველა ნაძირალამ დრო იხელთა, მე აქ არ ვგულისხმობ ეროვნულ მოღვაწეებს, გამოიყენეს დრო და დააჩქარეს ის პროცესი, რამაც შემდგომ ისეთი განვითარება მიიღო, რომ მისი გაჩერება შეუძლებელი გახდა. ეს იყო შევარდნაძის სცენარი. შევარდნაძე მოსკოვიდან აპირებდა გამოქცევას, გარკვეული წრეები მას დასდევდნენ მოსაკლავად. მან ყველა გამოიყენა, რათა მოესპო ზვიად გამსახურდია და რასაკვირველია ის აგენტურა აქეთაც მუშაობდა, რომელსაც გამღიზიანებელი ენები დაჰქონდა აქეთ-იქით და ბოლოს რა — ეროვნული მოძრაობა არ იყო მზად იმ შემოტევისთვის, რაც გააკეთა „მახროვი“ კომუნისტმა შევარდნაძემ. იგი ჩრდილში იჯდა და თვლიდა, როდის მოვიდოდა მაგის დრო. დღესაც შევარდნაძემ ყველა ეროვნული ძალები გახეთქა, ერთმანეთს გადაკიდა და ქართველ ხალხს „გომიკების“ პარტია დაასვა თავზე, ეს ის პარტიაა, ახალგაზრდა ბიჭები რომ ერთმანეთს ეარშიყებიან. როგორი იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს, ერთი ფეხის დაბრახუნებაზე მათი ქოქოლა ისე დაიშლება, რომ მათი პოვნა საერთოდ შეუძლებელი გახდება.

გაგრძელება ორშაბათის ნომერში

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ლორთქიფანიძის «ტრაგედია უგმიროთ» განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

„ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკულმართობის შემაზრზენი სურათი დაგვიხატა ნიკო ლორთქიფანიძემ ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“. — ვკითხულობთ ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელზეც მრავალი თაობა აღიზარდა.

საკვლევარო ის არის, რომ იგივე აზრი ნიკო ლორთქიფანიძის განსახილველი ნოველისადმი მიძღვნილ სამეცნიერო წერილებშიც დომინირებს.

საკვლევაროა იმ თვალსაზრისით, რომ თუ ქართული ლიტერატურის იმ სახელმძღვანელოს, რომელსაც ბოლო ათწლეულების მანძილზე აწვდიდნენ სკოლას, ქვეყნის იდეოლოგთა მიერ განსაზღვრული ჰქონდა შავი თეორად გაესაღებინა ანდა პირიქით და ახორციელებდა კიდეც ამ ამოცანას, სამეცნიერო წერილებსა და გამოკვლევებში ეტი შესაძლებლობა იყო იმისა, რომ იდეოლოგიური დეკლარაციები არ ასახულიყო.

არადა, ერთხმად გვარწმუნებენ იმაში, რომ მწერალმა ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკულმართობის შეშარავი სურათი დაგვიხატაო.

ეს არ არის სწორი.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკულმართობის შემარავი სურათი ჩვენ დაგვიხატა დავით კლდიაშვილმა თავისი დიდებული მოთხრობებით.

რაც შეეხება ნიკო ლორთქიფანიძეს, მან განგრძო სოციალურ თემატიკაზე მუშაობა და დაგვიხატა სოციალისტური წყობილების პირველივე წლების გამოგნებული სიდუხჭირის, უკულმართობის, სისასტიკის სურათი.

ეს სურათი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მწერლის ნოველებში „ტრაგედია უგმიროთ“, „შეგირდი“, „ბედნიერება“, „მწერლის ხვედრი“, „ბედის ვარსკვლავი“.

შემთხვევითი არ არის, რომ ეს თხზულებები ნიკო ლორთქიფანიძეს ერთ ციკლად ჰქონდა ჩაფიქრებული და თავდაპირველად გამოაქვეყნა საერთო სათაურით „გველეშაპის რკალში“, არც ის არის შემთხვევითი, რომ ყველა ამ ნაწარმოებს დაწერის თარიღად უზის 1922 წელი.

არც ერთ დასახელებულ თხზულებაში არავითარი ნიშანი არ ჩანს იმისა, რომ მწერალი წარსულ დროზე საუბრობს 1922 წელს კი საქართველოში სოციალისტური წყობილება არსებობდა და არა „მემამულურ-კაპიტალისტური“.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რუსეთსა და მის მიერ ანექსირებულ რესპუბლიკებში, როგორც ცნობილია, მძვინვარებდა არნახული შიმშილობა. ეს იყო ე.წ. „ნეპის“ წლები, როცა სიღატაკე ყოველგვარ „დასაშვებ“ ზღვარს გადასცდა და ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ, როცა რუსეთის ვრცელი ტრამალები ულუკმაპუროდ დახოცილთა გვამებით იფინებოდა.

შიმშილი მძვინვარებდა ღვთითკურთხეულ საქართველოს მიწაზეც, სწორედ ამ გაჭირვების საყოველთაობა გამოიხატა ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის „ტრაგედია უგმიროთ“ სათაურში. ამ ნოველის მიხედვით არ არის დაპირისპირებული ორი კლასი — მჩაგვრელი და ჩაგრული, რაც დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის სოციალური პრობლემატიკის ამსახველი ლიტერატურისათვის.

ამ ნოველაში არ ჩანან, ერთი მხრივ, შიმშილით დაუძლურებული და მეორე მხრივ, ფაშვგადმოგდებული მაძღარნი. ყველა უბედურია, ყველა დამშეულია, ყველა გაბოროტებულია, ამიტომაც ჰქვია ნოველას სათაურად „ტრაგედია უგმიროთ“, რაც გულისხმობს ტრაგედიას საყოველთაოს და არა კერძო კაცისას, ან ადამიანთა ცალკეული ჯგუფისას. ნოველის მთავარ გმირს სახელი სწორედ ამიტომ არ ჰქვია. იგი არ შეიძლება იყოს ვინმე პეტრე ან ვინმე პავლე, რადგან მის ბედშია ყველა, მთელი სოფელი, შესაბამისად მთელი ქვეყანა.

უსახელობა გმირისა და ნოველაში აღწერილი კონკრეტული დეტალები გაჭირვების საყოველთაობაზე მიგვანიშნებს.

ნოველაში აღწერილი ტრაგედიის გმირი არის არა კონკრეტული პერსონაჟი, არამედ შიმშილი, რომელიც ერთი თხზულებიდან მეორეში გადადის.

პირველ ყოვლისა გავეცნოთ ამ თხზულებათა სქემატურ სიუჟეტებს.

„ტრაგედია უგმიროთ“. მამას შიმშილით შვილები უკვდება. გულმოწყალე ნათლიამ, მოხუცმა დედაკაცმა სახვარი ჯამი ფქვილი მისცა დედით დობლებული ბავშვებისათვის. ბავშვები სიხარულით ასხმარტალდნენ. კაცმა ჭადი გამოაცხო, ლუკმა გასინჯა, დამშეულ სხეულში უსაზღვრო ნეტარებამ დაუარა და... ვედარ მოთოკა სურვილი. ჩამოთხოვილი ფქვილით გამომცხვარი ჭადი ერთიანად შეჭამა.

როცა გონს მოეგო, გვიან იყო. ბავშვების საცოდაობამ და მათ წინაშე ჩადენილმა დანაშაულმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

„შეგირდი“. მასწავლებელი საუბრობს ილიას მოთხრობაზე „კაცია, ადამიანი?!“ მოწაფეს კითხვას აძლევს — „რაზე ფიქრობდა ხშირად ლუარსაბი? — მოწაფე სდუმს და ფერი ეკარგება.

— ჭამაზე! — მოისმოდა აქა იქ შეგირდებში.

— უკაცრავად... თქვა ბავშვმა და თავის ადგილზე წავიდა. ცრემლი ერეოდა. გაირკვა, რომ მოსწავლეს სამი დღეა თითქოს არაფერი უჭამია.

გულდათუთქული მასწავლებელი შეგირდს დეხსარება კოლეგებში მოგროვილი მცირეოდენი თანხით და შინ გაუშვებს. მასწავლებლებიც იმავე დღეში არიან — „ერთ დღეს სადილი, ორ დღეს უჭმელობა“...

„ბედნიერება“. სიმშილით მისავათებული პატარა ავად გახდა. დედა ხლაპარს უამბობს, რათა შვილს პურსე ფიქრი დროებით მაინც დავიწყოს. პატარა იძინებს და საშინელ სიზმარს ხედავს. წამლის წყაროები, პურის მთები, რძის მდინარეები. მაგრამ როცა ბავშვი მათთან მიდის, ყველაფერი უმალ ქრება...

„მწერლის ხვედრი“. პროვინცია. ორი მწერალი. ორი სრულიად საწინააღმდეგო ბუნება, მაგრამ არც ერთს აკლდა თაყვანისმცემელი და არც მეორეს. ერთი მეოცნებე იყო, მეორე რეალისტი.

ტაში და აპლოდისმენტი. ასე იყო ჩვეულებრივ დროს. მაგრამ, აი, დარბაზში უკვე შეიერ-მწყურვალი, მოლუშული ადამიანები სხედან.

„ღმერთმა გაშალა ხელი და ბედნიერება დაწვიმა ქვეყანას“ — იწყებს თხზულების კითხვას მეოცნებე მწერალი.

ძველი თაყვანისმცემლები აბუზღუნდნენ:

— რა ნამუსახდილობაა ჩვენს დროში ასეთი რამ! ღმერთი ვის სწამს და ბედნიერება სად არის? რისთვის არაკუნებს ნეტავი?

რეალისტი რეალურ სურათს აღწერს:

„...ბნელ ოთახში თვალცრემლიანი ქალი მოვლით, ალერსით უპირებს გამხმარ, შეიერ ბავშვს დაშეიდებას...“

„გაათავე, მამა ნუ წაგიწყდება — ვერ ითშენს მსმენელი, — რაღა შენი თქმა გვინდა, ჩვენც კარგად კუჭურებთ მაგ ამბებს!“

როგორც ვხედავთ, ყველა ამ ნოველის სათქმელი ერთია — როცა შიმშილი მძვინვარებს, ადამიანებს არ აინტერესებთ არაფერი, რაც აზროვნებასთან, სულიერებასთან არის დაკავშირებული. მათი გადაზიანებული და აფორიაქებული გონება მთლიანად მოუცავს ერთადერთ საზრუნავს, იმას, რაზეც ფიქრობდა ხშირად ლუარსაბი — ჭამაზე ფიქრს.

თათქარიძეობის ერთ-ერთი ნიშანი გახლავთ ფანტაზიის სიღარიბე. ლუარსაბის ოცნება შემწვარ-მოხრაკულის წარმოდგენაზე შორს ვერ მიდის. ეს სენი, ფანტაზიის სიღარიბე, შიმშილით მისავათებულ ადამიანებსაც ემართებათ. აქედან გამომდინარე, ზედმეტად მაძღარ-გაფუჭებული და შიმშილით მისავათებული საზოგადოება ერთნაირად საშიშია.

როგორც პირველს, ისე მეორეს, ავიწყდება ყველა და ყველაფერი, გარდა საკუთარი თავისა და ადამიანურ საწყისს სძლევს ცხოველური.

იშვიათია მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ეს პროცესი — ადამიანში ცხოველური საწყისის გამარჯვება, ისე მაღალმხატვრულად იყოს მოტივირებული, როგორც ამას ნიკო ლორთქიფანიძე აღწევს ნოველაში „ტრაგედია უგმიროთ“.

მაგრამ ნოველა ამით არ მთავრდება.

ნაწარმოები პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ.

I
ხორცის ტკივილი

ასე შეიძლება განვსაზღვროთ ის საწყისი, რაც ნოველის პირველ ნაწილშია განფენილი. „შეუგნებლად დაერიდა ბავშვების სივილს — გამოვიდა ქოხიდან... გადაარა ეზი... უგზო-უკვლოდ მიდიოდა, სადაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში.... ცალ-ცალკე სიტყვები გაიელვებდნენ ნაპერწკალივით: „ჭადი... ბავშვები... ხარი...“ ასე იწყება ნოველა და სულ რამდენიმე ფრაზა: „შეუგნებლად დაერიდა ბავშვების სივილს“, „ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში“, „ჭადი... ბავშვები... ხარი“, უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქოხში, სადაც ბავშვები სივიან, სრული სიღატაკე სუფევს. კაცი უძლურია იმ სიღატაკის წინაშე, ხოლო ის ფაქტი, რომ სამი სიტყვიდან „ჭადი“, „ბავშვები“, „ხარი“, პირველ ადგილზე „ჭადი“ წერია და არა „ბავშვები“, სიტუაციის მთელ საშინელებაზე მიგვანიშნებს. კაცის არსება იმდენად გაუთანგავს შიმშილის განცდას, რომ მისდაუნებურად, მის გონებაში ჯერ „ჭადი“ წამოტივტივდება და შემდეგ „ბავშვები“. სიტყვათა ამ ერთი შეხედვით უბრალო განლაგებით — „ჭადი“, „ბავშვები“ მწერალი ამბობს უფრო მეტს, ვიდრე ეს რამდენიმე გვერდზე გადმოცემით მოხერხდებოდა...

ძლიერ შიმშილს ოჯახის მამა სრულ აპათიაში ჩაუგდია, აპათიაში და არა დეპრესიაში, ამაზე მიგვანიშნებს ფრაზები: „შეუგნებლად დაერიდა ბავშვებს“, „ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში“.

დეპრესია ადამიანის სულიერი დაძაბუნების გამოხატველია, ამ სურათზე კი არა მხოლოდ სულიერად დაძაბუნებული ადამიანი, არამედ უფრო მეტი, უკვე ყველაფრისადმი გულგრილი. უინტერესო, უსალისო, გაჭირვებისგან აზრ და ფიქრდაკარგული. უმოქმედო, უუნარო კაცი ჩანს. აი, სწორედ ეს საშინელი მდგომარეობა გამოიხატება აპათიით. ეს ის ვითარებაა, როცა კაცისთვის ყველაფერი სულ ერთია. ამ დროს კი ადამიანი საკუთარ თავს ვეღარ მართავს, მას იპყრობს ქვეშეცნეული ინსტინქტები.

სწორედ ამიტომ შვილების საცოდაობით გულშეძრული მამის გონებაში ნაპერწკალივით გაიელვებს არა „ბავშვები“, პირველ ყოვლისა, არამედ „ჭადი“. რადგან აპათიურ მდგომარეობაში მყოფ პერსონაჟს მართავს ინსტინქტი ხორცის ტკივილის დაამეგობრებისა, შიმშილის მოკლისა. ბავშვებისადმი მოვალეობის გრძნობა კი თი

თქოს მეორე პლანზე ინაცვლებს.

კიდევ ერთი სურათი. „შარაგზას გაეკა, მერე ორღობეში შეუხვია: დაუძახა ვიღაცამ. მობრუნდა.

— გუშინწინ რომ მოხოვე ფქვილი, ღმერთია მოწმე, არ მქონდა, აი, დღეს ქე მაქ ცოტა და ნახევარ ჯამს გიზიარებ...“

ასეთი მოულოდნელი წყალობა ცის გახსნა უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ არავითარი სიხარული. იგი იმდენად მოშლილია სულიერად, რომ თითქოს მექანიკურად მოქმედებს.

„— მომეცი! — მოკლედ მოუჭრა და ღობეს მიადგა“.

„ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა“.

როგორც ვხედავთ, ყოველი ვიტყვა, ყოველი ფრაზა ის ერთადერთი სიტყვა და ფრაზაა, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. პერსონაჟის აპათიური მდგომარეობა თანდათან უფრო მკვეთრად იხატება. არავითარი მადლიერების განცდა, არც ერთი სამადლობელი სიტყვა კეთილი ნათლიისადმი: „ნელა შემობრუნდა, უხმოდ მოშორდა მოხუც დედაკაცს“.

სურათი მესამე: ვიდრე ნოველის პერსონაჟი ქოხამდე მიაღწევდა, გამოერკვა, გამოფხიზლდა. ჭადის ფქვილის ასე მოულოდნელად შოვნამ ენა ამოადგმევინა და ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდა. ეს არ წერია ნოველაში, ამას მკითხველი გრძნობს მამის უკვე ალერსიანი მიმართვიდან ბავშვებისადმი.

— მამა, ფქვილი მოიტანე? — ახხრიალდნენ ბავშვები.

— გეჭმეე?

— კი, შვილო, კი, ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთს და ხან მეორეს.

ფიქრისა და განსჯის უნარი დაბრუნებია. „ბავშვების მოუთმენლობამ მიაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდე მათი თავიდან მოშორება.

— აბა, ბიჭებო, წადით და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუში გამოართვით — ბევრი აქვს, მოგცემთ...

ბავშვები გაიქცნენ.

ჭადის სუნმა მამა აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯაო“ ლუკმა პირში ჩაიდო. მთელ სხეულს განუზომელი სიხარული აღეძრა...“

და აქ იფეთქებს ხორცის ტკივილის, ანუ შიმშილის მოკვლის დაუთრგუნავი სურვილი. კაცს სრულად დაეუფლება ინსტინქტი და უეცრად ადამიანი იქცევა ცხოველად. „გადით, თქვე გასაწყეტებო“, „ბავშვები გალახა და ლაფაროში გაყარა“. ჭადებიც, ბავშვების მიერ მოტანილი ოხრახუშიც თვითონ შეჭამა. მერე „წავიდა... გადავიდა ტევრში... მიწვა... კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემავი“.

შეადარეთ ეს სურათი კაცის ქოხიდან გამოსვლის პირველ ეპიზოდს.

„სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში“.

შიმშილს, აპათიას უუნარო გაუხდია ადამიანი.

„ტევრში მიწვა. კარგა ხანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული. მთვლემავი“.

თითქოს იმავე, კვლავ უუნარო მდგომარეობაში ვხედავთ პერსონაჟს. განსხვავება ერთია, ხორცის ტკივილმა, შიმშილის განცდამ და შვილების საცოდაობამ იგი აპათიაში ჩააგდო. შიმშილის მოკვლამ, სიმაძღრემ და შვილების წუთიერმა გადაკიწყებამ გააცხოველა და ცხოველივით წევს თვალგახილული, მთვლემავი, უაზრო...

ერთი შეხედვით ერთ მდგომარეობაშიც საბრალოა ადამიანი და მეორეშიც. პირველ შემთხვევაშიც დაბინდული აქვს გონება, წართმეული აქვს მოქმედებისა და აზროვნების უნარი და მეორეშიც.

პირველ შემთხვევას — პერსონაჟის აპათიურ მდგომარეობას ანუ უგრძნობლობას, შიმშილის უკიდურესი გრძნობა ბადებს.

მეორე შემთხვევას — ცხოველურ მდგომარეობას კი ხორცის ტკივილის „დაამება“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნოველა პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ. აღწერილი ვითარების შემდეგ ხდება პერსონაჟის გამოფხიზლება და ნამოქმედარით შეძრწუნებულ მამას ეწყება სულიერი დეპრესია. ასე რომ, მეორე ქვეთავი ასევე პირობითად შეიძლება დავასათაურით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფიქრები აფხაზეთზე

ადა მარშანია:
მე მაინტერესებს, რისთვის მისვამთ ამ შეკითხვას?!

წრფელთა ჯურთხევით მაღლდმა ქალაქი,
მორღვეულთა პირით ინგრევა.
„იგავნი სოლომონისა“.

ვიდრე საუბარს დავიწყებდით, გასაგები მიზეზის გამო, ორივე ვგრძნობდით თუ რა რთულ და დელიკატურ თემას შევეხებოდით... ამიტომ მივმართავთ მკითხველს, რომ სწორად გაგვიგოს — ჩვენი მსჯელობა უფრო ხმამაღლა ფიქრებია და არა რამის მტკიცება.

— ქალბატონო ადა, თქვენ მარშანთა ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი ბრძანდებით. თუ იცით თქვენი გვარის ეტიმოლოგია?

— მე მაინტერესებს რისთვის მისვამთ ამ შეკითხვას და რა მიზანს ისახავთ?

— მოგახსენებთ, არსებობს მისი შიფრის მეგრული გასაღები — მარშან ანუ მე ვნიშნავ. მეგრული გვართწარმოების სუფიქსია, აგრეთვე, დაბოლოება „ია“, რომელიც აკადემიკოს სჯანაშიას აზრით ზოგადქართველურ „იანთან“ ანუ თქვენი გვარის შემთხვევაში მარშანიანთა, უფრო მოკლედ კი მარშანთა სახლთან არის დაკავშირებული. ამავე დროს თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ მამით აფხაზი ხართ და დედით ქართველი, ნიშნავს თუ არა ეს, თქვენი გაგებით, რომ აფხაზი სულ სხვა ეთნოსია, ქართველი კი სხვა. უფრო ვის მიაკუთვნებთ თავს — აფსუას, აბაზგს, აფხაზს თუ აშუას? რით ახსნით ამდენი ტერმინის არსებობას ერთ ეთნოსთან მიმართებაში?

— საქმეც იმაშია, რომ ვერაფრით. მე არა ვარ სპეციალისტი და ალბათ, ესეც არის ჩემი დაბნეულობის მიზეზი. თუმცა სპეციალისტებიც იგივე მდგომარეობაში არიან, დღემდე ვერ გარკვეულან და შეთანხმებულან. ბავშვობაში ხშირად მისვამდნენ კითხვას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრები — შენ აფხაზობ თუ ქართველობ? სიმართლე გითხრათ ისეთ უხერხულობას ვგრძნობდი და იმგვარად ვლიზიანდებოდი, ვფიქრობდი დედის გვარით, გუგუშვილით ხომ არ გავცნობოდი მათ. თუ შეგიძლიათ სწორად გამიგეთ, ეს გაორება ბევრისთვის გახდა სულიერი მსხვრევის საბაბი, რადგან, პირადად ჩემთვის,მაგალითად, აფხაზიც და ქართველიც ყოველთვის ღვიძლი და მონათესავე ცნებები იყო და მათი შავად და თეთრად დაყოფა ყოველთვის შინაგან პროტესტს იწვევდა ჩემში. დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ აფხაზი იგივე ქართველია, რომ ისტორია პოლიტიკური მოსაზრებებით არის გაყალბებული. კი ბატონო, რა მაქვს საწინააღმდეგო, ქართველობას კი არ ვთაკილობ. ჯერ არ მინახავს კაცი, რომ ეროვნულ ნიადაგზე მოეკლას თავი. პირიქით, ყველა ამაყობს თავისი ეროვნებით. რაც თავი მახსოვს, სულ იმას გავიძახი, ქართველია ჩემი ღვიძლი და ნათესავი, სეპარატისტი აფხაზივით ხომ არ ვამბობ, რომ ჩეჩენია ჩემი ნათესავი. მაგრამ ეს ხომ ჩემი და თქვენი გადასაწყვეტი არ არის. უნდა ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მოწვევასაც, თუ აკვირდებით, დაჟინებით მოვითხოვ ყველა ჩემს გამოსვლაში. ამ საკითხს სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა და იგი ოფიციალურ დონეზე უნდა გადაწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა შეწყდეს ვარაუდებით ლაპარაკი, რადგან ეს მხოლოდ ქაოსს იწვევს და ძაბავს სიტუაციას. პირადად მე, სხვათაშორის, არაერთხელ მივმართე კონსულტაციებისათვის სპეციალისტებს, მაგრამ უშედეგოდ. იგივე ტერმინოლოგიური სიუხვე და იგივე გაურკვევლობა. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ჩემს, სუსტი მოწაფესავით დაბნეულ და გაოცებულ მზერას რომ წააწყდა, ბატონმა თამაზ გამყრელიძემ საუბრის ბოლოს დამამშვიდა — ადა, ძვირფასო, შენ ხარ ის, ვისაც თავად მიაკუთვნებ თავსო (?!). დიდი მადლობა, მაგრამ... ახლა, წარმოიდგინეთ დანარჩენი აფხაზების მდგომარეობა, რომლებსაც მუდამ საიდანღაც მოსულებად ნათლავდნენ (მე ამ მხრივ დაცული ვიყავი ჩემი გვარით, რომელიც 5 ცნობილი თავადური გვარიდან ერთ-ერთია) და „დიდსულოვნად რთავდნენ ამ მიწაზე ცხოვრების ნებას“, ამ საომარ ანუ თავისთავად აფექტურ მდგომარეობაში პირდაპირ რომ მიახლი შენ აფხაზი კი არა ქართველი ხარო! ის ამას ყველა შემთხვევაში პოლიტიკად ჩაგითვლის და რეაქციაც შესაბამისი ექნება, მაშინ ხომ ამ ტრაგედიას დასასრული არ ექნება?!

— მაგრამ ხომ არსებობს სრულიად ბუნებრივი რეალობა, როდესაც ბავშვს ერთხელაც გამოუცხადებენ, რომ ის აყვანილია.

— აი, ხომ ხედავთ, სწორედ ასეთმა ლაპარაკებმა ქნეს ეს...

— არა, ქ-ნო ადა, მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობ, მას მოულოდნელად გამოეცხადება ნამდვილი მშობელი და ცრემლმორეული უხსნის, რომ ცხოვრების ორომტრიალით გზაარეულს ისე გამოჰგლიჯა მოძალადე გადამთიელმა ხელიდან, რომ მისი დაცვაც ვერ მოახერხა, ორივეს სხეულზე აღბეჭდილი საგვარეულო დამღა კი აღარავის უტოვებს ეჭვის საბაბს და... მაშინ? სიმართლე ხშირად მწარეა წამალივით, მაგრამ იგი მკურნალიცაა, თუმცა, გეთანხმებით, რომ ემოციების ბატონობის დროს ამის გაკეთება დაუშვებელია, მაგრამ როდისმე ხომ დაცხრება ვნებები და დადგება თანაცხოვრების აუცილებლობა. განა გვრჩება სხვა, უკეთესი გამოსავალი?

— არძინბასთან და მისნაირებთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. ყველაზე იდეალური, ყველაზე მისაღები ჩემთვის იქნება, რომ როდისმე დადგება დრო, როცა აფხაზი და ქართველი მეცნიერები მიუსხდებიან ერთ მაგიდას და ერთობლივად დაადგენენ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რადგან რაში მდგომარეობს ეს ჭეშმარიტება, ნამდვილად არ ვიცით, იგი დღემდე დაუდგენელია. შეიძლება ეს როგორც თქვენ ამბობთ, ისეა. ან ისე, როგორც მე ვიცი და რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მე ვარ აფხაზი ანუ ცალკე ეროვნება ჩამოყალიბებული ხალხის, ერის, თუ გნებავთ, წარმომადგენელი და ქართველი არის ჩემი უახლოესი და პირველი ნათესავი.

— სხვათაშორის, თუ იცით, რომ „არძი“, საბას ლექსიკონით ჭრელს ნიშნავს. ხოლო „ბა“ ნაწილაკი, რომელიც მრავალ სხვა ქართულ გვარშიც ზის (მაგალითად, გოგე(ბა)შვილი, მოდე(ბა)ძე, თოთი(ბა)ძე, გა(ბა)შვილი და სხვა), პუბლიცისტ გაიოზ ერაძის კონცეფციით შვილის ანუ ნაყოფის აღმნიშვნელი ქართული გვართწარმოების უძველესი ფორმაა, რომელიც სწორედ აფსარებმა შემოგვინახეს პირველყოფილი სახით. გამოდის, რომ არძინბა ჭრელი კაცი ყოფილა: აკი, ამართლებს კიდეც თავის გვარს!

— საინტერესოა, მე ეს ნამდვილად არ ვიცოდი, თქვენ უფრო ჩახედული ყოფილხართ ამ საკითხებში. ბატონ გაიოზ ერაძის წიგნი კი წაკითხული მაქვს.

— არ მიკვირს, რომ არ იცოდით, არათუ თქვენ, ქართველ მეცნიერთაც კი რუსეთის იდეოლოგიაზე მორგებულთ დიდხანს ჰქონდათ არხეინად ყური მიდებული იმ დიდი ხნის წინ ჩადებულ ნაღმის წიკწიკზე, რომელიც ჩვენს თვალწინ ააფეთქეს და ბევრი მათგანის გამოფხიზლებას დღესაც არ დაადგა საშველი...

სხვათაშორის, არც ეს პრობლემაა ახალი, მაგალითად, ქართული მენტალიტეტის „უძვირფასესი თვისების“ ანუ „უშნო ძრომიალის“ ერთ მაგალითს გავიხსენებ. ეს არის მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კორესპონდენტის, გიორგი წერეთლის „აღმოჩენა“, რომ ლაშა ანუ „მანათობელი“ „აფსართა ენით“ კი არ უწოდებია თამარს ვაჟისთვის, არამედ პირველი ანუ რუსი ქმრის პატივისცემით „მოსვლია ეს“. „გიორგი წერეთელმა სიტყვა ლაშა „луч“-იდან გამოახოხორიკა“-ო, წერდა თავის დროზე ილიას „ივერია“...

— აი, ხომ ხედავთ, და მე რაღას მერჩით? ხშირად მითქვამს, რომ მტერი ყოველთვის ჩვენზე უკეთესად გრძნობს ჩვენს სუსტ თვისებებს და შესანიშნავად იყენებს მათ ჩვენსავე წინააღმდეგ. ჩვენ, კი, ყოველთვის უკრიტიკოდ ვიღებთ ყველაფერს, ოღონდ უცხო ხელი იყოს. სწორედ ეს არის ხშირად მიზეზი ჩემი ადელვებული გამოსვლებისა.

— თქვენ რას გერჩით, ქ-ნო ადა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მეც თქვენსავით მტკივა აფხაზეთი. სოკრატე არშბას მეუღლე, ქ-ნი ზინა, მამიდა გახლავთ ჩემი. მათი შვილიშვილი გიორგი მიროტაძე, რომელიც სიკეთისა და სათნოების განსახიერება გახლდათ, ჩუმად გაიპარა აფხაზეთში აფხაზების და ქართველების შესარიგებლად... ვერ მოესწრო...

— მე შესანიშნავად ვიცნობ ამ ოჯახს, ძალიან სამწუხაროა ამ ბავშვის სიკვდილი... მეც ხომ იგივეს ვცდილობ, ამისთვის ვიბრძვი, მინდა ისევ ძველებურად ვიცხოვროთ, როგორც აქამდეც გვიცხოვრია.

— მოდით, ისევ მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ. ყველამ კარგად იცის, რომ „ორაბორიგენობის“ თეორია ხელოვნურადაა შექმნილი და მისი პრეცენდენტი მსოფლიოში არ არსებობს. ეს იყო იძულებითი, მე ვიტყოდი, პოლიტიკური ნაბიჯი; მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რა სახის იყო აფხაზეთის კონფლიქტი — პოლიტიკური თუ ყოფით-ეკონომიური, ადმინისტრაციული მართვის პრიორიტეტისათვის ბრძოლით განპირობებული?

— როგორც რუსები ამბობენ „По большому счету“, ეს, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური კონფლიქტია, მაგრამ რომ არა ზოგიერთი უპასუხისმგებლო „ვაიპოლიტიკოსის“ წინდაუხედავი ნაბიჯი და, თქვენ სწორედ აღნიშნეთ, მართვის სადავეებისათვის ბრძოლა...

— მე დავამატებდი, ანგარებიანი ბრძოლა. მაშინ იქნებ აგვეცილებინა კიდეც ეს ძმათამკვლელი ომი თავიდან. მტერი მტერია და იმან უნდა მოგიწყოს კიდეც პროვოკაცია, ეს მის ბუნებაში ზის, შენ არ უნდა წამოეგო მას.

— გეთანხმებით,სწორედ ამას ვუპირისპირდები მე დღიდან კონფლიქტის დაწყებისა. ამავე კატეგორიის მიგულონარ შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის მიმადები კომისიის გაყრაც. [illegible] ვის გაკეთდა, [illegible] ცხადდ და ვთქვი იქაური სახალხო ფრონტის სხდომაზე, რომ ამას ბოროტად გამოიყენებს ვილაცა და ცუდი შედეგები მოჰყვებამეთქი, კინაღამ გამწეწეს ქალებმა.

— ჩვენი ქალები შანსს არ უშვებენ, არ დაამტკიცონ მებრძოლი ამორძალების პირდაპირი შთამომავლობა!

— როგორ ვემუდარებოდი იმავე კიტოვანს, ნუ ლაპარაკობთ ავტონომიების გაუქმებაზე, ეს ჯერ ნაადრევია, ვის არ უნდა ერთიანი ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც ვერანაირი მტერი ვერ მოარგებს „დაყავი და იბატონე“ს— ბერკეტს.

— პასუხი?

— მიცინოდა და იმ ბავშვივით მიყვავებდა, უფროსების საქმეში რომ ერევა. მე ისედაც სულ ვცდილობ ყველა სიტყვა გამოვზომო, არავინ გავაღიზიანო. ამ მხრივ მეტად არასახარბიელო მდომარეობაში ვარ, ბევრია ჩასაფრებული, შეიძლება ისე არ მთარგმნონ... ყოველთვის ვამბობ, „აფხაზი ხალხი“, ვერიდები „აფხაზი ერის“ ხმარებას, ეს პოლიტიკურადაც სწორია. თუ ვჩხუბობ, ხომ საქმისათვის ვჩხუბობ, თუ აფხაზეთში დაბრუნების საკითხი მე ცოტა სხვანაირად მესმის, მთლიანობაში ხომ ერთ პოზიციაზე ვართ. ეს ხომ ის ჩხუბია, და რომ ძმას ეჩხუბება, ნუ იზამ ცუდ საქმეს, კისერს ნუ მოიტეხავო. არ ვთქვა, დავმუნჯდე? გაწყობთ ასეთი აფხაზები, მონებად ხომ არც თქვენ მოგეწონებით, მონებად ხომ არც თქვენ გინდივართ...

— არა, ქალბატონო ადა, დამშვიდდით, ეს საფრთხე თქვენ არ გემუქრებათ, თავადაც რომ მოინდომოთ, არაფერი გამოგივათ, ეს თქვენს გენეტიკურ კოდში არ ზის. გააბაზება, გააფხაზება ყოველთვის გულისხმობდა გარკვეულ სილაღეს, თავისუფლებას. ეს ხომ ფაქტიურად თავისუფალი თემი იყო, თავადების სიმცირეც (სულ 5, როგორც თქვენც ბრძანეთ) სწორედ ამის დასტურია.

— კაზაკებივით?

— სწორედ კაზაკებივით. ამაზე პირდაპირ მიუთითებს შალვა ინალ-იფა — ხშირად მთელი საგვარეულო ეწერებოდა სამხედრო სამსახურში და ისინი სრულიად თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გადასახადებისაგან. თვით რომის იმპერიაც კი შავიზღვისპირეთის სამთავროებს ხარკს არ ართმევდა, ოღონდ კი გადმოსასვლელები დაეცვათ მომთაბარე ტომებისაგან.

ქ-ნო ადა, რამდენადაც ვიცი, თქვენი პოზიცია ბევრ აფხაზს უკავია, რომლებიც არძინბას რეჟიმს სხვადასხვა ქვეყანაში აფარებენ თავს და დუმილს ამჯობინებენ. თქვენი ოჯახი კი ბოლომდე აქ დარჩა, რის გამოც, წესით, მოწინააღმდეგისათვის კარგი სამიზნე უნდა იყოთ, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, სერიოზულ გამოხდომებს არძინბას სისხლიანი რეჟიმის მხრიდან თქვენს წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია, როგორ ფიქრობთ, რატომ?

— მე რამდენადაც ვიცი, გამყიდველთა სიაში პირველები ვუწერივართ, სიტყვიერი მუქარა და ლანძღვა-გინება არ დაგვკლებია, მაგრამ... თქვენ მე დამფიქრეთ, ისე თავისუფლად შეიძლება, მართლაც... ჩვენ ხომ არ ვიმალებით, თავისუფლად დავდივართ ქუჩაში... იმდენი ვინმე მოკლეს... არ ვიცი, არ ვიცი.

— და, ბოლოს, იქნებ გამოკვეთოთ თქვენი პოზიცია, ქ-ნო ადა?

— კი ბატონო. ხშირად მესმის მსჯელობა, იმის შესახებ, რომ აფხაზი იგივე ქართველია, როგორც კახელი, რაჭველი, ქართლელი და ა.შ. მაგრამ მე დაბადებიდან ვიცი, რომ მე ვარ აფხაზი, ეს არის ცალკე ეროვნება, ასე იცის ჩემმა ხალხმა. მე მესმის, რომ ამ საწინააღმდეგო მსჯელობებს გარკეული საფუძვლები აქვს, მაგრამ ჩემთვის ეს ვარაუდების სფეროს განეკუთვნება. ერთი დანამდვილებით ვიცი, რომ ეს საკითხი ძალზე დელიკატურია და მასზე აწონ-დაწონილად უნდა ვილაპარაკოთ.

— დიდი მადლობა საუბრისათვის, აფხაზეთში შეხვედრამდე...

ესაუბრა ქეთევან ჯაყელი

არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

ნოდარ დუმბაძის იუმორის სკივრიდან...

გულრიფშში ნოდარ დუმბაძემ თავის აგარაკს ვითომ აფხაზთა გულის მოსაგებად ხუმრობით წააწერა: „ნოდარ დუმბა“.

— გამყიდეო? — ჰკითხა საქართველოს მაშინდელმა თავკაცმა.

— „ძეს“ მისაწერად „კრასკა“ არ მეყოო, — მიუგო ნოდარმა.

* * *

უნივერსიტეტში იხილავენ ნოდარ დუმბაძის რომანს „მე ვხედავ მზეს“. ერთმა ჰკითხა: ეს შენი „სოსოიას რუსი“ ამ რომანში და, კერძოდ, გურიის სოფელში საიდან გაჩნდაო? ნოდარმა მყისვე მიუგო: დალოცვილებო, საქართველოში ორასი ათასზე მეტი რუსია და ერთხელაც არავის უკითხავს, საიდან გაჩნდნენ აქ და ჩემს რომანში ერთი რუსის გაჩენა გიკვირთო?



* * *

ხმა გავრცელდა, ხრუშჩოვი ქართველებს ციმბირში გასახლებით ემუქრებაო.

იმ წელს თბილისში საოცრად აცივდა და თოვლიც დიდი დადო.

ნოდარმა ფანჯარაში გაიხედა:

— ე, ბიჭო, მგონი, მართლა გაგვასახლა იმ უპატრონომ, ეს ყველაფერი რაღაცა არ ჰგავს საქართველოს!

* * *

ნოდარ დუმბაძის ერთ მეგობარს ქორწილზე მიართვეს შვიდი დუჟინი დანა-ჩანგალი, ყველა ერთნაირად ბლაგვი. დახედა ნოდარმა და მაშინვე თქვა:

— ეს დანა-ჩანგალი მხოლოდ იმისათვის გამოდგება, როცა დაგივარდება, გაიგო, სტუმრად ქალი მოდის თუ კაციო.

* * *

ახლადდაარსებული „ცისკრის“ რედაქტორის ვახტანგ ჭელიძის კაბინეტში ჟურნალის მორიგი ნომრის მაკეტზე საუბრობდნენ. საქმით გართულ რედაქტორს დაავიწყდა დახედითო, ეთქვა თანამშრომლებისათვის. ითმინა, ითმინა ნოდარმა და ვეღარ მოითმინა:

— ბატონო ვახტანგ! სანამ არ შემესობა აი ფეხები საჯდომში, არ დამსვამ?

ლ. კოლალაშვილის ნახატები

ფუთშესვენება - იუმორის გვერდი

ზურაბ ქაფიანიძე რაჭველი იუმორით საკუთარ თავზე



1936 წელი იყო. რუსთაველის პროსპექტზე მივდიოდი და თავშეუკავებლად ვიცინოდი. ხორავას დავუნახივარ. დაუძახეთო, უთქვამს. მეუხერხულა, მართლაც, თავაშვებულად ვიცინოდი. დარცხვენილი მივედი ხორავასთან. სად აბარებო, მკითხა. — გეპეიში. — ვუპასუხე. თეატრალურზე გადმოიტანე საბუთებიო. ჰმ, მანდ ვინ მომაწყობს-თქო, გავიცინე. გადმოიტანეო, გამიმეორა და ასე, შემთხვევით აღმოვჩნდი თეატრალურ ინსტიტუტში. მაშინ რუსული საერთოდ არ ვიცოდი. სიტყვა რომ ეკარნახათ, იმასაც ვერ დავწერდი. რუსულის გამომცდელმა ოთხსიტყვიანი წინადადება მიკარნახა. რვა შეცდომა დავუშვი. რა დავწერე ამისთანა, დღესაც არ ვიცი...

* * *

პირველად რომ მკითხეს, რა გვარის ხარო, ქაფიანიძე-მეთქი რომ ვუპასუხე, ყველას გაეცინა. საიდან ხარო, რაჭველი ვარ, რომ ვუთხარი, ხარხარი დაიწყეს. მაშინ რაჭველები, უმეტესად, ბუფეტებში და ლუდხანებში მუშაობდნენ, სადაც სიტყვა, ლუდის ქაფი, ყველასთვის ნაცნობი იყო. ჩინებული დამთხვევაო, იცინოდნენ. — პირველად გაიგეს ეს გვარი.

* * *

ახალგაზრდობაში ვარჯიში ძალიან მიყვარდა. ხშირად ვვარჯიშობდი სტადიონზე. ჟორა ერგემლიძე ცნობილი ენამახვილი კაცი იყო. პირველად სტადიონზე დამინახა, ვვარჯიშობდი. ეს არის არტისტიო, იკითხა, რომ დამინახა. მერე ცოდვა არ არის, ეგ არტისტი იყოს და მაღაროში ხალხი იხოცებოდესო?! ვინ დამიმალავდა, იმ წამსვე მითხრეს. ბევრი ვიცინე...

* * *

განსაკუთრებული სიყვარულით ვიხსენებ ფილმის, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, გადაღების დროს რაჭაში გატარებულ დღეებს. მიუხედავად იმისა, ფილმი თავად კურიოზია, გადაღების დროს რაიმე კურიოზული არ მომხდარა. თუმცა, მეტი კურიოზი რა გინდათ, გივია ბერიკაშვილს რაჭველის როლში ვიღებდით. გაცვლა უნდოდა გივის, მე გავრაჭველდები და ეგ გააკახელეთო. რაჭველებმა არ ქნეს, თორემ შეიძლებოდა. კახელები და რაჭველები გვანან ერთმანეთს სამაგიეროდ, მეც მაქვს კახელები ნათამაშები.

* * *

მეგობარი მყავდა, ტარიელი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. ერთხელ, დამინახა თეატრში შევდივარ. დიდი რომ ვარ ფიზიკურად, თან წვერიც მქონდა, დაიყვირა — რა გინდა აქ! ზოოპარკი აწერია? აქ მხეცებს არ ვუშვებთო. მაჯავრებდნენ ხოლმე მეგობრები, რაჭველი ხარ, გვიან იგებო, ვერ ხვდებოდნენ, გვიან კი არ ვიგებ, რაღაცა უაზრობას არ ვუგდებ ყურს, ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე. მესამედ, მეოთხედ რომ გამიმეორებენ, მერე ვუსმენ.

* * *

„ზვიადაურში“ წიხლს მირტყამდნენ. ამას „ტრიუკავოი“ ჰქვია. როცა მსახიობს კადრში სცემენ ან რაღაც ბლაგვი ნივთი ხვდება, ან ნამდვილად ჩხუბობს, „ტრიუკავოის“ აძლევენ.

წიხლს შანშიაშვილი მირტყამდა. მე სახით უნდა დავცემულიყავი. გადაიღეს რვა დუბლი. ძალიან ძნელია ამ მძიმე კადრში გადაღება, ისიც რვა დუბლი. გავმწარდი და რეჟისორსა და ოპერატორს შევაგინე. შანშიაშვილი უცებ სადღაც გაქრა. ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, ნახეს. დაარტყიო, უთხრეს. ვერაო, იუარა. ძალიან რომ ჩააყინდნენ, დათანხმდა, ოღონდ „ტრიუკავოი“ მე უნდა მომცეთო. კი, მაგრამ მას ურტყამ, შენ რატომ უნდა მოგცეთო? ეგ ეხლა გაბორკილია, ზვიადაურშია, რომ გახსნით, რას მიზამს, ხომ არ იცითო.

მოამზადა
სოფიკო ხუციშვილმა

კაცი ვარ და ქუდი მხურავს

ცეკას ნომენკლატურული კოცნა

ზურაბ დათუაშვილის ფოტოები

გენერალ გია გულუას მკვლელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიებისათვის «მხედრიონელის» მიერ მიცემული აღიარება

ნიკოლოზ გედევანიშვილი — დაიბადა ქუთაისში 1945 წელს. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქ. ტელევიზიის ვიდეო-საამქროში, ფილარმონიაში. 1983 წ. დააპატიმრეს სსკ 91-ე მუხლით სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის. 1985 წ. მიმაგრებით მუშაობს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც ნუგზარ პავლიაშვილი გაიცნო, რომელთანაც ერთ ოთახში ცხოვრობდა. განთავისუფლების შემდეგ, 1988 წლამდე ფილარმონიაში მუშაობდა. თბილისის ომის შემდეგ შევიდა გასამხედროებულ ჯგუფ „ორბში", რომელიც თელასს, ტელევიზიას და ტელეანძას იცავდა. მისი დაშლის შემდეგ, შევიდა „მხედრიონში", რომლის რიგებშიც აფხაზეთში იბრძოდა. 1993 წლიდან იყო ჯ.იოსელიანის პირად დაცვაში. იმავე წლის 8 სექტემბერს სოხუმში, მთავრობის სახლზე, აფხაზ სეპარატისტთა თავდასხმისას მძიმედ დაიჭრა, რისთვისაც ე.შევარდნაძის ბრძანებულებით ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენი მიიღო. გამოჯანმრთელების შემდეგ დაინიშნა „მაშველთა კორპუსის" სატრანსპორტო ბაზის დირექტორად.

1994 წლის დასაწყისში ნ.გედევანიშვილი ჯ.იოსელიანის, გიორგი გელაშვილისა და ზ.ქარსელაძის გავლენით გახდა ბანდის წევრი, რომელმაც განახორციელა სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის გია გულუას მკვლელობის ტერაქტი, ვინაიდან იგი დამნაშავეებს ხელს უშლიდა მიმოსვლის საშუალებათა საკუთარი ინტერესებისამებრ გამოყენებაში.

ნ. გედევანიშვილის დაკითხვის საქმიდან:

1993 წლის 1 მარტს მივლინებით „მხედრიონში" გამგზავნა ჭუბერის ხეობაში, სადაც მონაწილეობას ვღებულობდი ლათას ხეობაში წარმოებულ ბრძოლებში, თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი 26-27 აპრილს, მაგრამ 18 აპრილს ჩემთან, ჭუბერში ვერტმფრენით ჩამოფრინდა „მხედრიონის" წევრი, ნუგზარ პავლიაშვილი, რომელმაც მითხრა, რომ აუცილებლად მას უნდა გავყოლოდი თბილისში. რატომ, ეს არ მითხრა... 19 აპრილს, როცა ვიყავი ნუგზარ პავლიაშვილთან, დილის საათებში წავედით ანაგის ჭუჭაზე. მივედით „მხედრიონელის" ზურაბ ქარსელაძის, იგივე „იუზგარას" საცხოვრებელ კორპუსთან... „იუზგარამ" თან ჩამოიტანა ტომარაში ჩადებული ავტომატი, რომელიც მე მომცა. ამის შემდეგ მან და პავლიაშვილმა საუბარი დაიწყეს, რომ ასაყვანი იყო ვიღაც ზვიადისტი, რომელიც მანქანაში იჯდებოდა. უნდა გაგვეჩერებინა და დაგვეკავებინა. როგორც „იუზგარამ" მითხრა — შენ მანქანა ავტომატის ჯერით უნდა გაჩერო, მაგრამ შეიძლება არ გაგიჩეროს, სროლაც აგიტეხოს. ამიტომ „ბრონიჟილეტი" ჩაიცვიო. სულ ეს იყო, რაც „იუზგარამ" მითხრა... 19 აპრილს, შებინდებისას ნ.პავლიაშვილმა და გ.მაჭარაშვილმა ჩამსვეს შავი ფერის „07" მარკის ავტომანქანაში, რომელიც პავლიაშვილს ეკუთვნოდა და წამიყვანეს ნუცუბიძის ჭუჭაზე. სანამ მე-2 პლატოს ასახვევს მივუახლოვდებოდით, ჩაუხვიეთ მარცხნივ და მივადექით შავი ფერის უცხოურ მანქანას... საჭესთან იჯდა გიგა გელაშვილი, მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე, უკან იჯდა ორი პიროვნება, როგორც შემდგომ გავიგე, მათ შორის, ერთ-ერთი იყო ბორჯომელი გოჩა თედიაშვილი... გიგა გელაშვილმა მითხრა, „ერთი ზვიადისტი გვყავს ასაყვანი და შენ გვჭირდებიო". მეც მეგონა, რომ საქმე მქონდა კანონიერ მოქმედებასთან და თანდგომა განვუცხადე... გიგამ მითხრა, ისიც, რომ მსხვერპლი არ უნდა ყოფილიყო. ამიხსნეს, მანქანა იქნება გაჩერებული და უნდა ესროლო საბურავებშიო. ამის შემდეგ მე და პავლიაშვილი წამოვედით დიღმის მასივში... მისვლისას დაგვხვდნენ თეთრი ფერის 09-ით ბორჯომელი ბიჭები, ერთი გოჩა თედიაშვილი, ხოლო მეორე პიროვნებას არ ვიცნობდი... მოვილაპარაკეთ, რომ მეორე დილით, ე.ი. 20 აპრილს ერომანეოს უნდა შეეხვედროდით დილის 7 საათზე. დანიშნულ დროს მე და ნუგზარ პავლიაშვილი მივიდოდით დიღმაში დანიშნულ ადგილზე... ჩვენ გადავჯექით „09"-ში. იქვე მომცეს იარაღი... შემხვდა „აკმს" დასაკეცი კონდახით და 1 ცალი 30 ტყვიიანი მჭიდი... დაახლოებით 7 სთ და 30 წუთზე წავედით ნუცუბიძის მეოთხე პლატოზე. მივედით გერმანულ სკოლასთან... როცა მანქანამ, კერძოდ, შავი ფერის გაზ-24-მა გამოყო ცხვირი, მე გადმოვედი მანქანიდან. ავტომატი მეჭირა მარჯვენა ხელში. მარცხენა ხელი ავწიე ზევით და ვანიშნე გაჩერება... ჩემს ნიშანზე მძღოლმა მოუმატა სიჩქარეს და როცა დისტანცია დაახლოებით 30 მეტრი იყო, მე ჯერ ვისროლე ასფალტზე უკეთ დასამიზნებლად, ხოლო შემდეგი ჯერი საბურავებში... მანქანა ჩემგან დაახლოებით 10 მეტრში გაჩერდა. ჩემი სროლისთანავე ჩემგან მარცხენა მხრიდან შავი „ვოლგისკენ" წავიდა ჯერი. ისროდა ან ნუგზარ პავლიაშვილი, ან უცნობი ბორჯომელი. ისინი ჩემს უკან იდგნენ და ამდენად ვერ შევხედე. როგორც კი მოვტრიალდი, მარჯვენა მხრიდან „ვოლგისკენ" სროლა-სროლით წავიდა გოჩა თედიაშვილი... ისროდნენ „სნაიპერა" და ბორჯომელი. არც იმის თქმა შემიძლია, გააკეთეს თუ არა საკონტროლო გასროლები. შესაძლოა ამ მომენტში, მე მანქანის კაპოტს ეხურავდი. გაკვირვებული ვიყავი იმითაც, რაც საერთოდ მოხდა... ჩვენ ჩამოვედით იქვე მოედანზე, სადაც იდგა შავი ფერის უცხოური მანქანა, რომელშიც წინა დღით ნუცუბიძას ჭუჭაზე გიგა გელაშვილი ვჯდა. აღნიშნულმა მანქანამ ჩვენ შუქები აღვინთო. მაგრამ არ გავჩერებულვართ... გავედით გაგარინის ჭუჭაზე. იქ შევედით ერთ-ერთი ჩიხში, სადაც პავლიაშვილმა შეცვალა მანქანის ნომრები... წავედით დიღმის მასივში... იქ მე და პავლიაშვილი გადავჯექით ამ უკანასკნელის ავტომანქანაში და წამოვედით... გავიარეთ საბურთალოზე, თუ არ ვცდები, ანაგის ჭუჭაზე ზურაბ ქარსელაძესთან, იგივე „იუზგარასთან". ნუგზარმა შეირბინა მასთან სახლში, მალე გამოვიდა... ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ ესროლეს სასიკვდილოდ, „სნაიპერამ" მიპასუხა: „შენ შენი საქმე შეასრულე და დაეგდე, არავინ გეკითხებაო". მე მას ჩავეკირკიტე, რაზეც მიპასუხა, რომ მოკლული იყო გია გულუა, რაზეც გადავირიე, ვინაიდან გიას ახლოს ვიცნობდი. როცა ქობალიამ დატოვა ზუგდიდი, სოფელ ხეთიდან, ჯგუფმა ჩემი მეთაურობით გია გულუა გამოვიყვანეთ „ზვიადისტების" ტყვეობიდან... 21 აპრილს, დილით, მე „სნაიპერას" ვუთხარი, რომ უნდა [illegible] ვნახა იოსელიანთან და ყველა[illegible] ვუთხრაო". რაზეც მიპასუხა: „ერთ სიტყვას სადმე იტყვი და შენ ოჯახს დიდი-ან-პატარიანად გავანადგურებთო". ამის შემდეგ შეშინებული ვიყავი და ვერავის ვუმხელდი მომხდარის შესახებ. იმავე წლის 30 მაისს დამაკავეს პოლიციის თანამშრომლებმა 1994 წლის თებერვალში პოლიციელები მკვლელობისათვის".

ნ.გედევანიშვილის მიმართ წაყენებულია ბრალდებები, რომლებიც გათვალისწინებულია სსკ 133/1 მუხლის პირველი ნაწილით (მძევლად ხელში ჩაგდება), 209/1 მუხლის მეორე ნაწილით (პოლიციელის სიცოცხლის ხელყოფა) 243 მუხლის მესამე ნაწილით, 238-ე მუხლის პირველი, მეორე და მეოთხე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის, მასალების უნებართვოდ შენახვა, შეძენა, ტარება), 240-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის გატაცება), 206-ე მუხლით (განუცხადებლობა), 65-ე მუხლით (სამშობლოს ღალატი), 78-ე მუხლით ბანდიტიზმი, 67-ე მუხლის 4 ნაწილით ტერორისტული აქტი, 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით (ყაჩაღობა).

კროსვორდი



თარაზულად: 7. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით; 8. მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც მიმართულია ვისიმე მოქმედება, ყურადღება; 9. ერთ-ერთი ულამაზესი მოდელი თანამედროვე მსოფლიოში; 10. ქართველი თავადი, პოლკოვნიკი, რომელსაც მიეძღვნა ხალხური ლექსის სტრიქონები:

„წინაპართ დროშა აღმართე, მტვერ-სისხლში ამოვლებული,
შენ შეგხვაროდა ქვეყანა დიდი ხნის დაობლებული!.."

16. სახელმწიფო ფულადი დახმარება; 17. მასა, რომლითაც ფარავენ გზის ზედაპირს; 18. მრავალი ქართული ხუმრობისა თუ ანეკდოტის პოპულარული პერსონაჟი; 19. მაგნიტური ველის დაძაბულობის საზომი ერთეული; 21. „ქალბატონი"-ს სინონიმი იტალიაში; 23. ქართული ხალხური საკრავი; 25. ზუსტი, ზედმიწევნით წესიერი; 27. გალაკტიონის ლექსი; 29. ინგლისელი მეცნიერი — კლასიკური ფიზიკის ფუძემდებელი; 30. უცხოური მსუბუქი ნამცხვარი.

შვეულად: 1. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში (ავტომობილით, ველოსიპედით და ა.შ.); 2. ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი ძველ საბერძნეთსა და რომში; 3. ჭურჭელი; 4. საკონდიტრო ნაწარმი; 5. სამხედრო წოდებულება; 6. ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობა, რისამე თანმიმდევრული რიგი; 11. დამატებითი კარტი ბანქოს ზოგიერთ თამაშში, რომლითაც შეიცვლება ყველა სხვა კარტი; 12. სახლის ქვედა სართული; იმერეთში, გურიაში, რაჭაში; 13. ქართული კონიაკი; 14. ზეთი, რომლის დამზადება ნიშანია ქრისტიანული ეკლესიის დამოუკიდებლობისა; 15. მილისებურად დახვეული თამბაქოს ფოთლები; 20. არჩეული წარმომადგენელი; 21. შექმნილ პირობათა ერთობლიობა; 22. მცოხნელი ჰუპეზოვარი ცხოველი; 24. მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ხალხებში გავრცელებული მახვილი — გარდამავალი სატევარსა და ხმალს შორის; 26. სასიგნალო და სარეკლამო გასანათებელ ხელსაწყოთა გასავსები გაზი; 28. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. წევა; 3. სპასკი; 6. ხელი; 8. კურტუაზული; 9. პრესპა; 12. ტობაგო; 15. ვარძია; 17. დუკლა; 18. ანდრე; 19. მუფლონი; 20. ტონზურა; 21. ნუნუა; 23. ესაძე; 24. იდიომი; 27. ნინიძე; 29. გრაციო; 31. ორთოდონტია; 32. ორფა; 33. სისლეი; 34. იასე.

შვეულად: 1. წრფე; 2. ასკანა; 4. პეტრა; 5. კაზმი; 6. ხვიტია; 7. „იუდა"; 10. რუდიმენტი; 11. სიკოფანტი; 13. ბუდრუგანა; 14. გრენადერი; 15. ვინიეტი; 16. არტერი; 22. არეოლა; 23. ედგარი; 25. დროგი; 26. მონტე; 28. ნენო; 30. ცახე.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41